# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

## „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მომზადება, რომლის თანახმადაც, უქმდება საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო და უერთდება საქართველოს ეროვნულ ბანკს სტრუქტურული ქვედანაყოფების (დეპარტამენტების) სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მიზნად ისახავს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის პროექტთან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად ცვლილებები შედის კანონის იმ მუხლებში, სადაც მოხსენიებულია საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, იგი შესაბამისად იცვლება საქართველოს ეროვნული ბანკით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.